



ავტორი: ნათია ჭანკვეტაძე
2019

ქართულ-ოსური კონფლიქტი:
ფაქტი, ნარატივი და რისიც
გვჯერა

ნაშრომი შეიქმნა პროექტის „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1989-2008): დოკუმენტები წარსულის გახსენებისა და ანალიზისათვის“ ფარგლებში თავმოყრილ ასობით დოკუმენტსა და საარქივო მასალაზე დაყრდნობით.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს. ნაშრომის შინაარსი შეიძლება ყოვლთვის არ გამოხატავდეს „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის“ მოსაზრებებს

სარჩევი

აბსტრაქტი	3
Abstact.....	3
შესავალი	4
ფაქტი, ნარატივი და რისიც გვჯერა.....	5
თეორიული პერსპექტივა	6
ოთხი ამბავი არქივიდან.....	8
რა მოხდა 1989 წელს	8
“წერილებით ომი”	10
“კარგი” ოსები და “ცუდი” ოსები.....	11
ოსები, როგორც კონფლიქტის მხარე	12
დასკვნა.....	16
გამოყენებული ლიტერატურა	17

აბსტრაქტი

სტატიის მიზანია 1989 წლიდან 2008 წლამდე ქართულ-ოსური კონფლიქტისა და მისი დარეგულირების ამსახველი საარქივო მასალების გაცნობა, მათზე დაკვირვება და ავტორისთვის საინტერესო პერიოდისა და მოვლენების ანალიზი. სტატია ეფუძნება ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის ინიციატივით განხორციელებული პროექტის „ქართულ - ოსური კონფლიქტის დროითი წრფევი (1989-2008): დოკუმენტები წარსულის გახსენებისა და ანალიზისათვის“ ფარგლებში სუტორზე¹ თავმოყრილ საარქივო დოკუმენტებს, საგაზეთო სტატიებს, წერილებს, ხელშეკრულებებს, შეთანხმებებსა და ქართულ-ოსური ურთიერთობის ამსახველ სხვა რელევანტურ ლიტერატურას. პუბლიკაციაზე მუშაობისას ავტორი გაეცნო საარქივო მასალებს და ესაუბრა ქართულ-ოსურ დიალოგში ჩართულ ქართველ და ოს მონაწილეებს.

Abstract

The aim of this article is to discuss and analyse archive materials about Georgian-Ossetian conflict timeline and efforts for its resolution as well as identify the most interesting periods and events from the perspective of researcher for further discussion. The article is based on the archive materials gathered within the project “Georgian-Ossetian Conflict Timeline (1989-2008): Documents to Remember and Analyse Past” implemented by the Institute for the Study of Nationalism and Conflict (ISNC). While working on this article, author reviewed various archive documents, newspaper articles, letters, agreements and other materials relevant for analysing Georgian-Ossetian conflict timeline from 1989 till 2008 year. Participants of the Georgian-Ossetian dialogue process were also interviewed.

¹ *Sutori* - პროგრამა, სადაც გაციფრულებული საარქივო დოკუმენტები და სხვა რელევანტური მასალებია განთავსებული. ხელმისაწვდომია ბმულზე

შესავალი

იდეა მშვიდობის შესწავლის შესახებ 1970-იან წლებში გაჩნდა. ჰერმან შმიდტი თავის, 1968 წელს გამოქვეყნებულ, სტატიაში მშვიდობის კვლევის შესახებ ამბობს, რომ “მშვიდობა არ არის იდეა, რომლის შესახებაც კონსენსუსი არსებობს” (Schmidt, 1968). მშვიდობა თითქოს აბსტრაქტულია, უტოპიური და ნაკლებად ხელშესახები. იმავე წელს, იოჰან გალტუნგმა გამოაქვეყნა სტატია მშვიდობის “პოზიტიური” და “ნეგატიური” გაგების შესახებ, რომლის ერთ-ერთი მიზანიც მშვიდობის ნაკლებად აბსტრაქტული ხედვის გაზიარება გახლდათ (Galtung, 1968). წლების განმავლობაში კონფლიქტის ანალიზის თეორიების განვითარების პარალელურად, მსჯელობა მშვიდობის კვლევისა და ანალიზისა ეთმობოდა. საბოლოოდ, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, 2019 წელს როჯერ მაკ გინტიმ დაწერა სტატია მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევის, როგორც აკადემიური დისციპლინების შესახებ და დასვა შეკითხვა - განსხვავდება კი მშვიდობის კვლევა კონფლიქტის კვლევისგან? რა არის ის მახასიათებლები, რომლებიც მშვიდობის შესწავლას კონფლიქტების კვლევისგან განასხვავებს და პირიქით, მასთან აკავშირებს (Mac Ginty, 2019).

ქართულ-ოსური კონფლიქტის განვითარების ხაზისთვის თვალის მიდევნება და საარქივო მასალების ანალიზი კონფლიქტის შესწავლაა თუ მშვიდობის? ან იქნებ შეკითხვის ასე დასმა არც არის სწორი. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საარქივო მასალები არა ისტორიკოსის, არამედ მშვიდობისა და კონფლიქტების მკვლევრის პერსპექტივიდან არის დანახული, შეკითხვა სწორედაც რომ დროული და მნიშვნელოვანია. საარქივო მასალების ანალიზი, წარსულის თანამედროვეობასთან დაკავშირების მცდელობაა, კონკრეტული საკითხების ირგვლივ მსჯელობისა და დისკუსიის წახალისების მოტივით.

მიუხედავად იმისა, რომ სტატიაზე მუშაობის ფარგლებში ასობით საარქივო დოკუმენტი გაანალიზდა, ლოგიკური განვითარებით ერთ სივრცეში მათი თავმოყრა, საკმაოდ დიდი გამოწვევა აღმოჩნდა. შესაბამისად, ყურადღება მხოლოდ რამდენიმე საკითხს დაეთმო. ერთ-ერთი პირველი საკითხი, რომელიც მკვლევრისთვის დამაფიქრებელი აღმოჩნდა ფაქტებსა და ნარატივებს შორის კავშირის დადგენაა. კერძოდ, თუ ქართულ-ოსურ კონფლიქტს 2019 წლის პერსპექტივიდან შევაფასებთ და საზოგადოებაში გავრცელებულ ხედვებს/ნარატივებს ჩამოვყალიბებთ, საინტერესოა მათ რა ნაწილს აქვს ფაქტობრივი საფუძველი. რა თქმა უნდა, ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე დამკვიდრებული ნარატივები აუცილებლად სიცრუე არ არის, პირიქით, ხშირად სწორედ ეს ნარატივები გამოხატავენ საზოგადოებაში კონფლიქტის რეალურ აღქმას.

მეორე საკითხი, რომელსაც წინამდებარე სტატია განიხილავს ეხება რას და რატომ იჯერებენ ადამიანები კონფლიქტის შესახებ და რამდენად შესაძლებელია მათი მოსაზრებების ტრანსფორმირება. რისი დაჯერებაა უფრო ადვილი და კონფორტული - ფაქტის თუ ნარატივის? კონფლიქტის ანალიზისას, ნარატივი იმის მიხედვით იცვლება თუ ვინ არის მთხრობელი, რა კავშირი აქვს კონფლიქტთან, რამდენად ემოციურია მისთვის მომხდარი ამბავი. ასევე, მნიშვნელოვანია ვიმსჯელოთ რამდენად აუცილებელია ნარატივების კრიტიკულად გადააზრება კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის, ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესისთვის.

ფაქტი, ნარატივი და რისიც გვჯერა

ხშირად გაუპროტესტებიათ ტერმინი ქართულ-ოსური კონფლიქტი და უთქვამთ, რომ ეს არ არის ქართულ-ოსური კონფლიქტი, ეს არის კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ან საქართველოში. პროტესტის ინიციატორთა ნაწილი ტერმინ “სამხრეთ ოსეთს” არ ცნობს და ამბობს, რომ ეს ცხინვალის რეგიონია ან სამაჩაბლო. წინამდებარე სტატია გამოიყენებს ტერმინს - ქართულ-ოსური კონფლიქტი, რადგან მასზე მუშაობის ფარგლებში, სწორედ ის საარქივო მასალები გაანალიზდა, რომელიც 1989 წლიდან 2008 წლამდე, ქართულ-ოსური კონფლიქტის განვითარების დინამიკასა და მისი დარეგულირების მცდელობებს წარმოაჩენს.

ქართულ-ოსური ურთიერთობების 1989 წლიდან 2008 წლამდე პერიოდის საარქივო მასალებზე დაკვირვებამ, ფაქტებისა და ნარატივების ურთიერკავშირის მნიშვნელობაზე რამდენჯერმე დამაფიქრა. მიუხედავად იმისა, რომ ნარატივების უმრავლესობა ფაქტებზეა დაფუძნებული, საარქივო მასალების კითხვისას ასევე ხშირად გავიფიქრე - დღეს ხომ ამას ვერავის დააჯერებ. გაკვირვებას ხშირად იმედგაცრუება და ალაგ-ალაგ აღტაცებაც ენაცვლებოდა. ვფიქრობდი, რომ გარკვეული ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, რომ მართალია, რთულად დასაჯერებელი და გადასაზრებელია. მაგალითად, რთულად დასაჯერებელია, რომ ოსებისთვის ენის საკითხი ასეთი პრინციპული და მგრძნობიარე იყო, როცა 2019 წლის დადგომა ოს მოსახლეობას პრეზიდენტმა მხოლოდ რუსულ ენაზე მიულოცა (sutori). მიკვირდა, როგორ გაქრნენ ოსები, როგორც მხარე კონფლიქტის მოგვარების პროცესიდან. თითქოს არც ყოფილან. 2019 წელს მხოლოდ რუსეთის ოკუპაციაზე ვსაუბრობთ. ქართველებისა და ოსების ბრალეულობა კი ისევ ერთმანეთშია არეული. ქალი, რომელსაც საოკუპაციო ხაზთან სააღდგომოდ წითლად შეღებილი კვერცხები მიაქვს და მავთულხლართების გადაღმა ტოვებს, მომძე ოსებზე საუბრობს (აფციაური, 2019). “უთქმელი ამბების” ერთ-ერთი მთხრობელი კი 2008 წლის აგვისტოს დღეების გახსენებისას ყვება - “რამდენიმე ადამიანი სახლებში გამოწვეს, ისეც მოკლეს ირადის სროლით, ოღონდ არა რუსებმა... ოსებმა” (George Mason University, 2016, p. 23).

შესაბამისად, საარქივო მასალების კითხვისას, ჩემი ყურადღება ოთხმა საკითხმა/ამბავმა მიიქცია. (1) 1989 წლის ნოემბერი, როცა ათასობით ქართველი მარშით დაიდრა ცხინვალისკენ და ამ ამბავმა უამრავი მითი შემოიკრიბა. გარდა ნოემბრის მოვლენებისა, საარქივო დოკუმენტებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ 1989 წელი ქართულ-ოსური ურთიერთობებში მეტად მნიშვნელოვანი პერიოდია. იმავე 1989 წელს გამოჩნდა ალან ჩოჩიევის წერილი, რომელიც მხარდაჭერას უცხადებს “ლიხნის კრებას”. (2) “წერილებით ომი” - რა შინაარსის საგაზეთო წერილი ქვეყნდებოდა ქართულ და ოსურ ბეჭდურ გამოცემებში და რას უწყობდა ხელს - აგრესიული, დაძაბული ვითარების განეიტრალებას თუ პირიქით, გამწვავებას. (3) როდის და რატომ გაჩნდა იდეა “კარგი” და “ცუდი” ოსების შესახებ და რა გავლენა იქონია ომგამოვლილი ადამიანების ნარატივებზე. (4) ოსები, როგორც კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ჩართული ლეგიტიმური მხარე. მარტივად რომ ვთქვათ, ამბავი მასზედ თუ რატომ არ არის საკმარისი საქართველო-რუსეთს შორის კონფლიქტის დარეგულირება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებისა და ურთიერთობების აღდგენისთვის.

ნარატივების შესახებ მსჯელობა და მათი კრიტიკულად გადააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის. ტრანსფორმირებული, გარკვეულწილად სახეცვლილი, კონფლიქტი გაცილებით უფრო მოქნილ პირობებს სთავაზობს მასში მონაწილე მხარეებს დიალოგისთვის და ნაკლებად მოწყვლადია გარე ჩარევების მიმართ, რადგან მეტი ყურადღება შიდა რესურსების ათვისებასა და გამოყენებას ეთმობა.

თეორიული პერსპექტივა

კარლ ბეკერი საუბრობს ადამიანებზე, როგორც “კერძო ისტორიკოსებზე” (Becker, 2011, p. 122), რომლებსაც არანაირი ვალდებულება არ აქვთ მათთვის საჭირო და მნიშვნელოვანი საკითხების მიღმა რამე დაიმახსოვრონ. “ყველა თავისი თავის ისტორიკოსია” - ამბობს ბეკერი. ხოლო მეხსიერება, კონკრეტული სოციალური ჯგუფის სუბიექტური გამოცდილებაა (Confinio, 2011, p. 1998). მარტივად რომ ვთქვათ ადამიანები თავად წყვეტენ რა, როგორ და რატომ დაიმახსოვრონ. თუმცა აქვე უნდა დაისვას შეკითხვა ვინ წყვეტს, ვინ რა დაიმახსოვროს და რატომ? წარსულის ვისი ვერსიაა ჩანიშნული და შენახული (Burke, 2001, p. 1991). აღნიშნული მსჯელობა, ერთი მხრივ ისტორიკოსს, მთხრობელს, აკისრებს პასუხისმგებლობას და მიიჩნევს, რომ წარსულის დამახსოვრება დიდწილად სწორედ მთხრობელზეა დამოკიდებული. თუმცა აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ხშირად პოლიტიკური ძალაუფლება წყვეტს თუ წარსულის რა ნაწილი მოექცეს ჩრდილქვეშ, რომელი ამბავი გახდეს მეორეხარისხოვანი და შედეგად, სრულიად გაქრეს ადამიანების მეხსიერებიდან. მეორე მხრივ, ის თუ რა გვახსოვს ისტორიიდან ჩვენი, ადამიანების გადაწყვეტილებაა. თუმცა გადაწყვეტილებაზე მრავალი სხვადასხვა ფაქტორი

ახდეს გავლენას, მათ შორის, როგორც უკვე აღინიშნა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი - გამოცდილება და კონფლიქტთან კავშირია.

შესაბამისად, ქართველებსა და ოსებში გავრცელებული ნარატივების ერთი ნაწილი ფაქტებს ემყარება, მეორე ფაქტების ინტერპრეტაციას, მესამე კი გამოცდილებასა და მეხსიერებას. ომგამოვლილი ადამიანები კონკრეტულ ამბებს განსხვავებულად იმახსოვრებენ და იხსენებენ. გარდა ამისა, ნარატივების ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ისტორიკოსები, მკვლევრები, კონფლიქტების თემატიკაზე მომუშავე ადამიანები. ხშირად სწორედ ისინი წყვეტენ ფაქტების ინტერპრეტაციის შინაარსობრივ მიმართულებას. ასევე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს პოლიტიკური ძალაუფლების მქონე კონკრეტული ინდივიდები თუ ადამიანთა ჯგუფები. მაგალითად, იდეის გაჩენა “კარგი” და “ცუდი” ოსების შესახებ, სწორედ რომ პოლიტიკური ძალაუფლების მქონე ადამიანებს უკავშირდება როგორც კონფლიქტის მომწიფების ადრეულ წლებში, ისე მისი დარეგულირების მცდელობისას. ის თუ რას ვწერთ სასკოლო წიგნებში, რა ამბები ხვდება ე.წ. მეინსტრიმ მედიის ყურადღების ცენტრში და რას ვამბობთ ტრიბუნებიდან ხან პირდაპირ, ხანაც ირიბ გავლენას ახდენს კონფლიქტის შესახებ ნარატივების ფორმირებაში. შესაბამისად, გავლენას ახდენს მისი მოგვარების თუ ტრანსფორმაციის პერსპექტივებზე.

ფაქტებისა და ნარატივების კრიტიკულად გადააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის. კონფლიქტის ტრანსფორმაცია ყურადღებას ამახვილებს ადგილობრივ აქტორებსა და რესურსებზე, შერიგებაზე, კონფლიქტის წარმოშობის სიღრმისეული ფესვების გამოკვლევაზე, გაანალიზებასა და გადააზრებაზე (Lederach, 2003). ფაქტებისა და ნარატივების გადააზრება, კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის რამდენიმე კონკრეტული მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზანია კონფლიქტის შედეგად დაშორებულ ადამიანებს შორის ურთიერთობის აღდგენა და მათი შერიგების ხელშეწყობა (Lederach, 2003). როგორც ურთიერთობის აღდგენას, ასევე შერიგებას აუცილებლად სჭირდება კონფლიქტით დაშორებულ ადამიანებს შორის ემპათიის გაჩენა, იმ ნარატივების გადააზრება, რომლებიც სიძულვილის, აგრესიის, ღალატის შემცველ იდეებს იტევს და კონფლიქტის ემოციური სიმძიმის განეიტრალება. გარდა ამისა, ნარატივების გადააზრება მნიშვნელოვანია კონფლიქტის ტრანსფორმაციაში ადგილობრივი აქტორებისა და რესურსების გააქტიურების მიზნით. მაგალითისთვის, ნარატივი რომლის მიხედვითაც ოსებთან კონფლიქტი არასოდეს გვექონია, სიმაღლეს სულ მცირე, კონფლიქტის დარეგულირების შესახებ არქივში აღმოჩენილი იმ დოკუმენტების გათვალისწინებით არ ეთმხვევა, რომლებსაც ხელს ერთი მხრივ საქართველოს, ხოლო მეორე მხრივ დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტები აწერენ.

ნარატივების ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამშვიდობო პროცესში ქართველი და ოსი ახალგაზრდების ჩართულობის გასააქტიურებლად. კრიტიკულად გააზრებული ნარატივები, ახალგაზრდებს ერთმანეთის მოსაზრებების მიმართ უფრო ემპათიურს გახდის და მიმდებლობის ხარისხიც მოიმატებს. ახალგაზრდები, მცირე გამონაკლისის გარდა, 1989 წლიდან 2008 წლამდე პერიოდის ამბებს ძირითადად სწორედ

გადმოცემით ეცნობიან, წიგნებსა და სტატიებში კითხულობენ. შესაბამისად, იჯერებენ იმას რაც უფროს თაობას, საზოგადოების ფართო მასებს სჯერათ, როგორც ქართულ ისე ოსურ მხარეს.

ოთხი ამბავი არქივიდან

ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის მიერ მოძიებული და სუტორზე განთავსებული საარქივო მასალების, საგაზეთო წერილების, სტატიების, ხელშეკრულებების, შეთანხმებებისა და ასობით საინტერესო დოკუმენტის ათვლის წერტილი 1977 წლის 7 ოქტომბერი და საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციაა. განახლებული კონსტიტუციის შესახებ ინფორმაციას, 1978 წლის 14 აპრილის მოვლენები ენაცვლება, რომელსაც საქართველოში დემონსტრაციები მოჰყვა ქართული ენის დაცვის მიზნით. ენის საკითხი 1988 წლიდან აქტიურდება. მაგალითად, სვანტე კორნელი თავის წიგნში, რომელიც კავკასიის ეთნოკონფლიქტებს განიხილავს, ამბობს, რომ ქართველებსა და ოსებს შორის განხეთქილების წარმოშობის ერთ-ერთ მიზეზი 1988 წლის ნოემბრის გადაწყვეტილებაა, რომლის მიხედვითაც ქართულ ენას მთელ რესპუბლიკაში მთავარი ენის სტატუსი ენიჭებოდა (Cornell, 2001, p. 154). ენის ირგვლივ დაწყებული დავა, 1989 წელს მცირე მასშტაბიან შეიარაღებულ დაპირისპირებებშიც გადაიზარდა და 1989 წლის ნოემბრის მოვლენების შედეგად განსაკუთრებით გამწვავდა (იგივე, გვ.154).

რა მოხდა 1989 წელს

საარქივო მასალების ანალიზისას, ერთ-ერთი პირველი საკითხი, რომელმაც ფაქტებისა და ნარატივების ურთიერთკავშირზე დამაფიქრა სწორედ 1989 წლის მნიშვნელობაა. კერძოდ, 1989 წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, რომლებიც მოგვიანებით განსხვავებული ინტერპრეტაციებისა და ურთიერთგამომრიცხავი ნარატივების ფორმირების ხელშემწყობი გახდა. აღსანიშნავია, რომ ქართველებისთვის 1989 წელი ერთი მხრივ - 9 აპრილსა და თავისუფლების მოპოვებისთვის ბრძოლის დაწყებასთან ასოცირდება, მეორე მხრივ კი “ლიხნის კრებასა” და აფხაზების გაცხადებულ სურვილთან დამოუკიდებელი საქართველოსგან დისტანცირდნენ. 1989 წელზე, როგორც ქართულ-ოსური ურთიერთობებისთვის გარკვეულ ასპექტებში გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე პერიოდზე, ნაკლებად თუ ვსაუბრობთ. შესაბამისად, საინტერესოა როგორ და რატომ იყო მნიშვნელოვანი 1989 წელს განვითარებული მოვლენები ქართული-ოსური ურთიერთობისთვის.

1989 წელს მომხდარი ერთ-ერთი პირველი ამბავი, “ადემონ ნიხასის” ლიდერის ალან ჩოჩიევის წერილის გამოქვეყნებას უკავშირდება. წერილი, რომელიც აფხაზებსა და “ლიხნის კრებას” უცხადებდა სოლიდარობას 4 აპრილს, გაზეთ “ზიფში” გამოქვეყნდა,

ხოლო ერთი თვის შემდეგ, 5 მაისს გაზეთ “ლიტერატურულ საქართველოში” გადაიბეჭდა. იმავე დღეს კი სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს დეპუტატები ალან ჩოჩიევის წერილის წინააღმდეგ გამოვიდნენ. აღნიშნული დოკუმენტები ნამდვილად არსებობს და სუტორზეა განთავსებული. თუმცა საინტერესო ერთი საკითხია - ოსებს ნამდვილად დასაწყისშივე უნდოდათ ქართველებისგან გამოყოფა თუ ალან ჩოჩიევის წერილი გამოყოფის იდეით მანიპულირების კარგი შესაძლებლობა გახდა. ეს შეკითხვა მაშინ გამიჩნდა, როცა ფილმი “ნათელი იგი” ვნახე. ფილმთან დაკავშირებით გოგი გვახარიას სტატიაც არსებობს რადიო თავისუფლებაზე, სადაც ამბობს, რომ 1990 წლის ივლისში “ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ” და “ადემონ ნიხასის” წევრებმა ოსი და ქართველი ხალხებისადმი მიმართვა გაავრცელეს, რომლის ტექსტსაც უცვლელად გთავაზობთ.

“დღეს, როცა შიშის დათესვის მეშვეობით ცდილობენ ჩვენს ურთიერთიზოლაციას, კი არ უნდა გავუცხოვდეთ, კი არ უნდა გვეშინოდეს ერთმანეთის, არამედ, პირიქით, უნდა დავამყაროთ ერთმანეთთან უშუალო კონტაქტები და ვეძებოთ ის, რაც გვაერთიანებს და არა ის, რაც განგვასხვავებს ერთმანეთისგან... ჩვენი ურთიერთობის გაუარესებით დაინტერესებულია ორივე ჩვენი ხალხის მტერი” (გვახარია, 2004).

როცა ადამიანთა ერთი ჯგუფი ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ მოსაზრებას აჟღერებს და ორივე დასტურდება, ის თუ რომელი ნარატივის გავრცელებას ვუწყობთ ხელს და რას ვიჯერებთ დიდწილად სწორედ ადამიანებზეა დამოკიდებული.

გარდა აპრილის მოვლენებისა, საინტერესოა 1989 წლის 23 ნოემბერი, როცა დაახლოებით 15 ათასამდე ქართველი, მათ შორის ეროვნული მოძრაობის ლიდერები მარშით დაიძრნენ ცხინვალისკენ (Parliament.ge, 2006, p. 3). აღნიშნული მიტინგი ნარატივების ფორმირების პარალელურად მითების შემომკრებიც გახდა. კერძოდ, ნინო კალანდარიშვილი² იხსენებს, რომ ოსების ნაწილს დღემდე სჯერა ამბის, რომლის მიხედვითაც ქართველების მარში ოცამდე პირტიტველა ბიჭმა შეაჩერა. მაშინ როცა ქართველების მეხსიერებაში მიტინგს წინ ოსური სამხედროები დაუდგნენ და არ მისცეს ცხინვალამდე მისვლის შესაძლებლობა. ერთი რამ ცხადია, 1989 წლის ნოემბრის მიტინგმა ოსებს დამოუკიდებელ საქართველოში, ქართველებთან თანაცხოვრების იდეის შესახებ შიში და გაურკვევლობა გაუჩინა. ასევე, კონფლიქტის ესკალაციას შეუწყო ხელი.

² ქართულ-ოსური დიალოგის მონაწილე

“წერილებით ომი”

ქართულ-ოსური დიალოგის მონაწილეები ხშირად რთულად დასაჯერებელ ამბებს ჰყვებიან და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ამბის დამადასტურებელი დოკუმენტი არც იძებნება, ადამიანებს ამა თუ იმ კონკრეტული ნარატივის მაინც გულწრფელად სჯერათ. ნარატივის ფორმირებაში ადამიანების გამოცდილებასა და გადაწყვეტილებებს - რა, როგორ და რატომ დაიმახსოვრონ - დიდი წვლილი აქვს. თუმცა, სუტორზე თავმოყრილი საგაზეთო წერილები ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხზეც გაფიქრებს. მაგალითად, საინტერესოა, რამდენად იბეჭდებოდა ქართულ გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები ოსურ გაზეთებში და პირიქით. ასევე, საინტერესოა, გამოქვეყნებული წერილების შინაარსი და ტონი რას უსვამდა ხაზს - ქართველებისა და ოსების თანაცხოვრების დადებით გამოცდილებას თუ ერთმანეთის შევიწროების ფაქტებს.

მაგალითისთვის, საარქივო მასალებში იძებნება 1989 წლის 2 ივნისს გაზეთ “ლიტერატურულ საქართველოში” მკითხველ, დიანა მაჩაბლის მიერ გამოქვეყნებული წერილი - “გალმით შეედავე და გამოღმით შეგრჩება”. ციტატა წერილიდან - “ალან ჩოჩიევს უნდა ვკითხოთ, თუ შეწუხებულია ოდესმე ქართველი “მშების” ჩაგვრის გამო. მაღაზიაში შესულმა ქართულად რომ იკითხო, პასუხს არავინ გაგცემს. საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ქართველი არ ინიშნება [...]”. საარქივო მასალებში ასევე იძებნება 1990 წლის 11 მარტს ისევ “ლიტერატურულ საქართველოში” გამოქვეყნებული, ნიკოლოზ ოთინაშვილის ღია წერილი ზვიად გამსახურდიას, სადაც ავტორი ოსებს ადანაშაულებს ისტორიის ფალსიფიცირებასა და ქართველების შევიწროებაში. ორივე წერილის შინაარსი, თანაცხოვრების უარყოფით გამოცდილებას უსვამს ხაზს და საკმაოდ აგრესიული ტონით ხასიათდება.

აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის მომწიფების პირველ წლებში ოსურ გაზეთებშიც იწერებოდა ღია წერილები და მიმართვები ქართველების მიმართ. მაგალითისთვის, 1990 წლის მარტში, ოსური გაზეთი “არიანგ მუნდი” წერს - “სტუმარი აღმოჩნდა ასი ათასობით ოსი, რომლებიც იმყოფებიან სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ფსკერზე და საკვებით მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, გაიკეთონ პოლიტიკური კარიერა რესპუბლიკაში და ძირითადად ასრულებენ მძიმე, დაბალანაზღაურებად სამუშაოს.” აქვე აღსანიშნავია, რომ ომამდე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებსა და ქალაქებში გაცილებით მეტი ოსი ცხოვრობდა, ვიდრე ცხინვალის რეგიონში (Cornell, 2001, p. 154). წერილის ავტორი ასევე ახსენებს “საქართველო ქართველებისთვის” რიტორიკას, რომელიც მისი შეფასებით სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს და შიშის ქვეშ ამყოფებს საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას.

ამბავში, რომელსაც მე “წერილებით ომი” დავარქვი, ერთი საკითხია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი - კონფლიქტის მომწიფების პირველ წლებში გაზეთებში უფრო მეტი სივრცე რომელ წერილებსა და მოსაზრებებს ეთმობოდა? მათ, რომლებიც თანაცხოვრების უარყოფით გამოცდილებას უსვამდნენ ხაზს თუ დადებითს? გასაკვირი არ არის რომ უფრო ადვილად დასაჯერებელი და მარტივად ტირაჟირებადი სწორედ ის

ამბავია, რომელიც ან ერთ ან მეორე მხარეს დამნაშავედ წარმოაჩენს. 2019 წლის 2 აპრილს, ნეტგაზეთმა გამოაქვეყნა ოსი აქტივისტის თემურ ცხურბათის მოკლე წერილი, სახელწოდებით - “ქართველებსა და ოსებს შორის აქტიურ ურთიერთობებს ვისურვებდი” (Netgazeti , 2019). წერილი საკმაოდ კონტრასტულია და მასში ბევრი ერთმანეთის საწინააღმდეგო შინაარსის მქონე მესიჯის ამოკითხვაა შესაძლებელი. მაგალითისთვის, ცხურბათი ამბობს, რომ მეტ დისკუსიას ისურვებდა ქართველებსა და ოსებს შორის, ასევე ამბობს რომ “მინდა ქართველებს ვუსურვო, ისე კარგად იყავით, რომ შეგვეშვათ”. წერილმა სოციალურ ქსელში გამოქვეყნების წუთიდან, ცუდი შეფასებები მიიღო როგორც ოსურ, ასევე ქართულ მხარეს. 2019 წლის ივნისში ცხინვალში არჩევნებია დაგეგმილი. არსებული ინფორმაციით, თემურ ცხურბათს არჩევნებში კანდიდატად დარეგისტრირების უფლება კი ქართული პასპორტის ქონის გამო აუკრძალეს. საინტერესოა, დღეს რამდენად ვკითხულობთ და გვაქვს ინფორმაცია ერთმანეთის მოსაზრებების შესახებ. რა შინაარსის წერილებს ვაქცევთ ყურადღებას და ვავრცელებთ - მათ, რომლებიც შერიგების საჭიროებასა და აუცილებლობაზე საუბრობენ თუ მათ, რომლებიც ერთმანეთის ბრალეულობას განიხილავენ.

“კარგი” ოსები და “ცუდი” ოსები

ნარატივების გარკვეული ნაწილის ფორმირება პოლიტიკურ ძალაუფლებას უკავშირდება. მაგალითისთვის, 1990 წელს ოსური გაზეთი “არიაგ მუნდი” აპროტესტებდა “სამართლიან ოსთა კავშირის” პოზიციებს, რადგან მასში შემავალი ოსები “ადემონ ნიხასისგან” იდეებისგან დისტანცირდნენ და ხელისუფლებას დაუჭირეს მხარი. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ თბილისელი ოსების ნაწილიც განუდგა “სამართლიან ოსთა კავშირს” და წერილი მისწერეს “ადემონ ნიხასს”. მიმართვის შინაარსი შემდეგია - “ჩვენო ძვირფასო ადან ჩოჩითი! ადამონ ნიხასის ძვირფასო წევრებო! ჩვენ, თბილისელი ოსების ჯგუფი, რომელიც არ ეთანხმება “სამართლიანი ოსების კავშირს”, გაცნობებთ: ძალიან ვაფასებთ თქვენს იდეებს, თქვენს გულისტკივილს ოსეთის გამო, იმის გამო, რომ არ აღიგავოს პირისაგან მიწისა ოსური ენა; იმიტომ, რომ თქვენ გამოადვიმეთ ოსი ხალხი. ჩვენ ვართ ნამდვილი ოსი პატრიოტები, ვის ძარღვებშიც ჭეშმარიტი ოსურ-ალანური სისხლი ჩქეფს.” წყაროს მიხედვით, წერილს ხელს თბილისელი ოსები აწერენ - 158 ადამიანი.

ოსების ორ ნაწილად 2005-2006 წლებშიც გაიყვნენ. კერძოდ, 2005 წლის 26 ნოემბერს, საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის ლიდერებს კრიმინალური რეჟიმი უწოდა, ხოლო 2006 წლის 12 ნოემბერს, სამხრეთ ოსეთში ორი არჩევნები და ორი რეფერენდუმი ჩატარდა (Civil.ge, 2006). სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ არჩევნებში, პრეზიდენტად ისევ ედუარდ კოკოიტი აირჩიეს, ხოლო რეფერენდუმით მოსახლეობამ დამოუკიდებლობას

დაუჭირა მხარი; რაც შეეხება თბილისის მიერ ორგანიზებულ, ალტერნატიულ არჩევნებს, ხელმძღვანელად დიმიტრი სანაკოვეი აირჩიეს, ხოლო რეფერენდუმის ფარგლებში მოლაპარაკებებსა და საქართველოსთან ფედერალური სახელმწიფოს შექმნას დაუჭირეს მხარი (Civil.ge, 2006). აღნიშნული არჩევნების შედეგად, “ლეგიტიმური” ოსების ხელმძღვანელად დიმიტრი სანაკოვეი აირჩიეს, ხოლო “არალეგიტიმური” ოსების პრეზიდენტად, ქართული მხარისგან კრიმინალად წოდებული, ედუარდ კოკოიტი დარჩა.

რა შეცვალა ან ცვლის ნარატივმა - “კარგი” ოსების, ვისაც საქართველოში ცხოვრება სურთ და “ცუდი” ოსების, ვისაც გამოყოფა უნდა, არსებობის შესახებ? მოახერხა კი - ოსებისა და ქართველების გარკვეული ნაწილის გაერთიანება საერთო იდეის ირგვლივ. ან შეამსუბუქა კი - ოსების ან ქართველების ხისტი დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ? ზოგჯერ ნარატივი, შერიგებისკენ მიმართული მესიჯების გავრცელების ხელშემწყობია, ზოგჯერ კი პირიქით - რეალობისგან დაშორებას უწყობს ხელს. ამბავი “კარგი” და “ცუდი” ოსების არსებობის შესახებ, რიგითი ადამიანების დამოკიდებულების სრულყოფილად დანახვის შესაძლებლობას გვართმევს. ჩიმამანდა ადიჩი, ნიგერიელი მწერალი, თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ჰყვება სტერეოტიპების შესახებ და ამბობს, რომ სტერეოტიპების არსებობა, იმიტომ კი არ არის ცუდი რომ არასწორია, ისინი უბრალოდ არასრულია. ადამიანების, მოვლენების შესახებ სავსე წარმოდგენას არ გვიქმნის, არ გვიყვება მათ ისტორიებს სრულად, ცუდითა და კარგით, ბედნიერი და ნაკლებად ბედნიერი მომენტებით. იდეა “კარგი” და “ცუდი” ოსების არსებობის შესახებ, ვფიქრობ, რომ ნაწილობრივ სტერეოტიპულია და რიგ შემთხვევებში რეალობის სრულყოფილად დანახვისა და აღქმის შესაძლებლობას გვართმევს, შესაბამისად, ერთმანეთს, დაახლოების ნაცვლად, გვაშორებს.

ოსები, როგორც კონფლიქტის მხარე

კიდევ ერთი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ფაქტებისა და ნარატივების ურთიერთკავშირზე საუბრობს - ოსების მხარედ ყოფნა-არ ყოფნის საკითხია. თუ კონფლიქტის განვითარების ხაზს კარგად არ იცნობ, დღევანდელი კონტექსტის გათვალისწინებით, რთულია დაიჯერო, რომ ოსები ოდესმე მაინც იყვნენ პროცესის თავში, შუაში ან ბოლოში; ეთქმოდათ სიტყვა, ხელს აწერდნენ სხვადასხვა დოკუმენტებს და საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლებს, როგორც თანასწორები ისე ელაპარაკებოდნენ. დღეს ოკუპაცია და მავთულხლართებით გახლეჩილი საზოგადოება სრულიად სამართლიანად არის ყურადღების ცენტრში და ნამდვილად რთული დასაჯერებელია, რომ ოსებს, ცხინვალში შექმნილ დღის წესრიგზე გავლენა აქვთ. მიუხედავად დღევანდელი კონტექსტისა, საინტერესოა, 1989 წლიდან 2008 წლამდე

საარქივო მასალებში თავმოყრილი დოკუმენტები რას ამბობენ კონფლიქტის დარეგულირების საქმეში ოსების ჩართულობასთან დაკავშირებით.

სუტორზე განთავსებულ მასალებში არაერთ დოკუმენტს აღმოაჩენთ, რომლებზეც ერთი მხრივ ედუარდ შევარდნაძის, მეორე მხრივ კი ლუდვიგ ჩიბიროვის ხელმოწერაა. ხელმოწერილი დოკუმენტების არსებობა გაფიქრებინებთ, რომ კონფლიქტის დარეგულირებაში, საწყის ეტაპზე მაინც, ქართველები და ოსები თანაბარ მონაწილეობას იღებდნენ. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი პირველი შეხვედრა, რომელიც საომარი მოქმედების შეწყვეტისა და კონფლიქტის დარეგულირებისკენ იყო მიმართული - 1992 წლის 10 ივნისს დაბა ყაზბეგში შედგა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მეთაურ, ედუარდ შევარდნაძესა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ახსარბეკ გალაზოვს შორის (Parliament.ge, 2006). აღნიშნულ შეხვედრას მოჰყვა მეორე შეხვედრა სოჭში, 1992 წლის 24 ივნისს, უკვე რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის, სადაც შეთანხმებასაც კი მოეწერა ხელი “ქართული-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ” (აბრამიშვილი & ქოიავა, 2018, p. 16).

უშუალოდ ქართველებსა და ოსებს შორის შეხვედრა შედარებით გვიან გაიმართა. მაგალითად, 1994 წლის 31 ოქტომბერს, მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ხელი მოაწერეს “ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესის შემდგომი განვითარებისა და შერეული საკონტროლო კომისიის შესახებ” დოკუმენტს; შერეული საკონტროლო კომისია კი, რომელიც ცეცხლის შეწყვეტისას შეიქმნა, ოთხმხრივ მუდმივმოქმედ ორგანოდ გარდაიქმნა და ქართულ, რუსულ და “სამხრეთ” ოსურ მხარეებს, ჩრდილოეთ ოსური მხარეც დაემატა (შარაშენიძე, 2009, p. 4). აქვე უნდა აღინიშნოს 1995 წლის 30 ოქტომბერი, ქალაქ ვლადიკავკაზში ხელმოწერილი ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების ოქმი, რომელსაც ხელი ქართული, სამხრეთ ოსური, რუსული, ჩრდილო ოსური და ეუთოს მონაწილეობით მოეწერა.

ქართველებსა და ოსებს შორის შეხვედრები 1996, 1997 და 1998 წლებშიც გაგრძელდა. მაგალითისთვის, 1996 წლის 16 მაისს, მოსკოვში ხელი მოეწერა მემორანდუმს “უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ურთიერთობის გამტკიცების საჭიროების შესახებ”, ქართულ და ოსურ მხარეებს შორის (აბრამიშვილი & ქოიავა, 2018, p. 16). განსაკუთრებით აღსანიშნავია 1996 წლის 17 აგვისტო, როცა ქ. ვლადიკავკაზში საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ლიდერ, ლუდვიგ ჩიბიროვს შორის პირველი შეხვედრა შედგა (შარაშენიძე, 2009, p. 9). ედუარდ შევარდნაძისა და ლუდვიგ ჩიბიროვის მეორე შეხვედრა 1997 წლის 14 ნოემბერს, დაბა ჯავაში გაიმართა; ხოლო მესამე შეხვედრა 1998 წლის 20 ივნისს, ქ. ბორჯომში (იგივე, გვ. 10).

ჩამოთვლილი შეხვედრები და სხვადასხვა დოკუმენტებზე ხელმოწერები ადასტურებს, რომ კონფლიქტის დარეგულირებაზე მუშაობის პირველ წლებში, ოსები კონფლიქტის სრულყოფილებიან მხარედ აღიქმებოდნენ. თუმცა საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენელთა შეხვედრები რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის

წარმომადგენლებთან და დოკუმენტებზე მათი ხელმოწერების არსებობა, იმასაც უსვამს ხაზს რომ კონფლიქტის დარეგულირების თუ ესკალაციის პროცესში რუსული და ჩრდილო ოსური მხარეც მუდმივად ჩართული იყო.

აღსანიშნავია, რომ 1999-2003 წლებში ქართული და ოსური მხარეების სრულუფლებიანი დელეგაციების ათი შეხვედრა გაიმართა (აბრამიშვილი & ქოიავა, 2018, p. 17). აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში, ქართულმა და ოსურმა წარმომადგენლობამ კონფლიქტის დარეგულირებისთვის მნიშვნელოვანი არაერთი საკითხი განიხილეს. მაგალითისათვის, ერთ-ერთი შეხვედრის ფარგლებში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური დარეგულირებისა და პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ დეკლარაციის პროექტიც შეთანხმდა, რომლის მიხედვითაც, ძალისა და მუქარის გამოყენება ყოვლად დაუშვებლად ცხადდებოდა (შარაშენიძე, 2009, p. 11)

ძალიან საინტერესოა 2004-2008 წლების მონაკვეთი. ერთი მხრივ, სწორედ ამ პერიოდში ცოცხლდება “ლეგიტიმური” და “არალეგიტიმური” ოსური მხარის იდეა და იქმნება დიმიტრი სანაკოვეის ადმინისტრაცია; მეორე მხრივ კი საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლები ედუარდ კოკოითსაც ხვდებიან. მაგალითისთვის, 2005 წლის 5 ნოემბერს, შეხვედრა გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ედუარდ კოკოითს შორის (Parliament.ge, 2006, p. 15). 2005 წელს კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების გეგმა წარმოადგინა, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ასევე სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა (აბრამიშვილი & ქოიავა, 2018, p. 26). კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი 2005 წლის ივლისის კონფერენციაა, რომელიც ქალაქ ბათუმში გაიმართა. კონკრეტულად კი ქართული და ოსური დროშებით წარმოდგენილი საინფორმაციო ბროშურა, რომელიც კონფერენციის მიზნებისა და ამოცანების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის იყო შედგენილი (sutori).

ასევე, საინტერესოა სუტორზე განთავსებული 2008 წლის 7 აგვისტოს შესახებ ინფორმაცია, რომელიც ადრე civil.ge-მ გაავრცელა. აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით, 2008 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი ცხინვალში ჩავიდა ოსური მხრიდან შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარე ბორის ჩოჩიევთან შეხვედრის მიზნით (შარაშენიძე, 2009, p. 26).

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ორმხრივი შეხვედრების პარალელურად საინტერესო იყო - პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების პრიორიტეტულობის გარდამავლობას ეხება. მაგალითად, სუტორზე განთავსებული მასალებიდან საინტერესოა 1999 წლის 16-17 თებერვლის შეხვედრა ვლადიკავკაზში. როგორც დოკუმენტშია მითითებული, აღნიშნულ შეხვედრაზე ცხინვალის წარმომადგენლობა ითხოვს გადაიხედოს ყველა, იქამდე ხელმოწერილი, შეთანხმების შესრულების პროცესი; ძირითადად კი ის საკითხები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის რეაბილიტაციას ეხება. იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ქართული მხარე არ იწონებს ცხინვალის ინიციატივას -

პრიორიტეტი მიენიჭოს ეკონომიკური აღდგენის საკითხებს და დაიჩრდილოს პოლიტიკური, სტატუსთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და მოგვარება.

დღევანდელი პერსპექტივიდან რთულია იმის დაჯერება, რომ ქართული მხარე უარს ამბობდა ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებაზე სანამ პოლიტიკურ საკითხებზე, როგორცაა სტატუსი, შეთანხმება არ მოხდებოდა. 2018 წელს, საქართველოს მთავრობამ წარადგინა სამშვიდობო ინიციატივა - “ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ” (SMR, 2018). ინიციატივის მიხედვით, მანამ სანამ პოლიტიკური სტატუსის საკითხზე შეთანხმება მოხერხდება - ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ და განათლების შესაძლებლობების განვითარება - მნიშვნელოვნად დაეხმარება კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასა და სოციალური კავშირების აღდგენაში.

ვლადიკავკაზში შეხვედრასა და ახალი სამშვიდობო ინიციატივის წარდგენას შორის 19 წლიანი დაშორებაა. 1999 წელს, ოსებს მიაჩნდათ, რომ პოლიტიკური საკითხების გადაჭრამდე, ჰუმანიტარული და ეკონომიკური საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო; 2018 წელს კი დაახლოებით იმავე პოზიციას, უკვე ქართველები იკავებენ. ამ მაგალითით საუბარი არ არის “ხელიდან გაშვებულ” შესაძლებლობაზე, ეს შემთხვევა კონფლიქტის დინამიკურობაზე მიათითებს. ის რაც დღეისთვის ყოვლად წარმოუდგენელი და დაუჯერებელია, შეიძლება ხვალ სრულიად რეალური გახდეს. შესაბამისად, კონფლიქტის დარეგულირებაზე მუშაობისას მხოლოდ შედეგზე არ უნდა გამახვილდეს ყურადღება და დავფიქრდეთ პროცესში რას, როგორ და რატომ ვაკეთებთ.

კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის მნიშვნელოვანია ნარატივების კრიტიკულად გადააზრება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დავუბრუნდეთ საარქივო დოკუმენტებს, ისტორიის სახელმძღვანელოებს და სხვა მასალებს, რომლებიც ქართულ-ოსური ურთიერთობების შესახებ საუბრობენ. შერიგება ურთიერთობის აღდგენაზე გადის, ურთიერთობის აღდგენა კი ერთმანეთის მოსმენასა და ერთიმეორის სიმართლის დანახვაზე. შეკითხვაზე - რატომ უნდა დავუბრუნდეთ 1989 წლის ამბების განხილვას, რატომ უნდა წავიკითხოთ არქივში თავმოყრილი საგაზეთო წერილები, რატომ უნდა ვისაუბროთ ოსების ლეგიტიმურ და არალეგიტიმურ ნაწილად გაყოფის თუ მხარედ ყოფნის შესახებ, პასუხი მარტივია - გამოსავლის ძიებისთვის. თითოეული ინდივიდის პასუხისმგებლობის დანახვისა და გააზრებისთვის, საბოლოოდ კი - კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციისა და მოგვარებისთვის.

დასკვნა

საარქივო დოკუმენტებზე დაკვირვება, როგორც დასაწყისში აღინიშნა, ბევრ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. მათ შორის ერთ-ერთი პირველი სირთულე, განსახილველი მონაკვეთებისა და მოვლენების შერჩევაა. შესაბამისად, სტატიაში მხოლოდ რამდენიმე საკითხია განხილული. მაგალითად, რას ჰყვება გაციფრულებული საარქივო დოკუმენტები ფაქტებისა და ნარატივების შესახებ, რისი და რატომ გვჯერა ადამიანებს, რა გავლენას ახდენს ნარატივები ურთიერთობების აღდგენის პროცესზე და რატომ არის მნიშვნელოვანი ფაქტებისა და ნარატივების გადააზრება კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის საბოლოო მიზანი ომგამოვლილ ადამიანებს შორის ნდობისა და ემპათიის გაჩენა უფროა, ვიდრე კონფლიქტის პოლიტიკური სარჩულის განხილვა და მის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცალკეული შემთხვევების განხილვა, არამედ მთლიანად პროცესის გააზრება. პროცესის გააზრების ნაწილია ფაქტებისა და ნარატივების კიდევ ერთხელ და რაც მთავარია, კრიტიკულად გაანალიზება. მნიშვნელოვანია, ქართულ და ოსურ საზოგადოებებში ფეხს იკიდებდეს და ძლიერდებოდეს აზრი რომ ტრანსფორმაცია წარსულის უბრალოდ დავიწყებას არ გულისხმობს. ტრანსფორმაცია წარსულის კრიტიკულად გააზრებას, შეფასებასა და გამოსავლის დანახვას უნდა უწყობდეს ხელს.

ქართულ და ოსურ საზოგადოებებში გავრცელებული ნარატივებიც მიუთითებენ, რომ ადამიანები წარსულს უბრალოდ არ ივიწყებენ. პირიქით, ხშირად წარსულის იმ ვერსიას იმახსოვრებენ, რომელიც ურთიერთობის აღდგენასა და შერიგებას ეწინააღმდეგება. ამ პროცესში კი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხზეც უნდა დავფიქრდეთ. კერძოდ, რას და რატომ ვასწავლით სკოლებსა და უნივერსიტეტებში, რა შინაარსის ინფორმაცია ხდება ე.წ. მეინსტრიმ მედიის განხილვის საგანი და რაზე ვსაუბრობთ უფრო მეტს - გამოსავლის ძიებაზე თუ ერთმანეთის ბრალეულობაზე.

სტატიის ერთ-ერთი შეზღუდვა სამუშაოდ გამოყოფილი დრო და თავად ნაშრომის საბოლოო მოცულობა გახლდათ. შესაბამისად, სტატიას არ აქვს საკითხების სრულყოფილად მიმოხილვის ამბიცია და რამდენიმე საკითხზე მსჯელობა ღიაა, დისკუსიის წახალისებისა და კრიტიკულად დაფიქრების მოტივით. ერთი რამ ცხადია - საარქივო მასალებზე დაკვირვება, გაცილებით მეტ შეკითხვას აჩენს, ვიდრე პასუხს. პასუხების ძიება კი დისკუსიის, მსჯელობის და მუდმივი რეფლექსიის შედეგად ხერხდება. მნიშვნელოვანია, რომ საარქივო მასალებს კრიტიკულად შევხედოთ, შეკითხვები დავსვათ და ყურადღება გამოსავლის ძიებაზე გავამახვილოთ.

ბელფასტის “მშვიდობის კედელს” დღემდე ჭიშკარი აქვს, რომელიც დილით იღება და საღამოს იხურება. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი წლების წინ დასრულდა, ადამიანები ერთ სივრცეში თანაცხოვრებას დღემდე ეჩვევიან. კონფლიქტის

ტრანსფორმაცია სწორედ თანაცხოვრების იდეასთან შეჩვევისთვის არის მნიშვნელოვანი. რადგან კონფლიქტის ფორმალურად დარეგულირება ხშირად გარემო პირობების ცვლილების შედეგად ხდება. შერიგებასა და ერთ სივრცეში მშვიდობიანად თანაცხოვრებას კი გაცილებით მეტი დრო და რესურსი სჭირდება, ვიდრე შეთანხმებაზე ხელმოწერა.

გამოყენებული ლიტერატურა

- Becker, C., 2011. *Collective memory reader*. Jeffrey K. Olick; Vered Vinitzky-Seroussi; Daniel Levy ed. Oxford: Oxford university press.
- Burke, P., 2001. *Collective memory reader*. Jeffrey K. Olick; Vered Vinitzky-Seroussi; Daniel Levy ed. Oxford: Oxford university press.
- Civil.ge, 2006. *Civil.ge*. [Online]
Available at: <https://old.civil.ge/geo/article.php?id=14201&search=>
[Accessed 2 May 2019].
- Confino, A., 2011. *Collective memory reader*. Jeffrey K. Olick; Vered Vinitzky-Seroussi; Daniel Levy ed. Oxford: Oxford university press.
- Cornell, S., 2001. *Small Nations and Great Powers: A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus*. London and New York: Routledge Curzon.
- Galtung, J., 1968. Violence, Peace and Peace Research. *Journal of Peace Research* , Issue 23-9, pp. 167-188.
- George Mason University, 2016. *კონფლიქტის საფასური - უთქმელი ამბები*. დინა აღბოროვა, სიუზან ალერი, ნინო კალანდარიშვილი ed. თბილისი: s.n.
- Lederach, J. P., 2003. *Little Book on Conflict Transformation*. Intercourse, PA, ed. s.l.: Good Books. .
- Mac Ginty, R., 2019. Compelementarity and Interdisciplinarity in Peace and Conflict Studies. *Journal of Global Security Studies* , pp. 1-6.
- Netgazeti , 2019. *ქართველებსა და ოსებს შორის აქტიურ ურთიერთობებს ვისურვებდი* , Tbilisi: Netgazeti.

Parliament.ge, 2006. ინფორმაციული ცნობა "ქართულ-ოსური კონფლიქტის" შესახებ, თბილისი: საქართველოს პარლამენტი.

Schmidt, H., 1968. Peace Research and Politics. *Journal of Peace Research*, pp. 217-230.

SMR, 2018. სამშვიდობო სტრატეგია - ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ, Tbilisi: <http://smr.gov.ge/FileList.aspx?ID=97>.

აბრამიშვილი, ი. & ქოიავა, რ., 2018. საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი, თბილისი : კავკასიური სახლი .

აფციაური, გ., 2019. საფლავები გამყოფ ხაზთან და ოკუპირებულ ტერიტორიებზე, გორი: რადიო თავისუფლება .

გვახარია, გ., 2004. რადიო თავისუფლება. [Online]
Available at: <https://www.radiotavisupleba.ge/a/1536443.html>
[Accessed 2019].

შარაშენიძე, თ., 2009. :სამხრეთ ოსეთის: კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმის მოკლე ისტორია: 1992-2008, თბილისი: ბოკკ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფი .